# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
# აკადემიური საბჭო
# დადგენილება № 01-05-04/318

ქ. თბილისი 8 ნოემბერი 2018 წ.

სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატენოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის „სოციალური კვლევების ლაბორატორიის " დებულების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 8 ნოემბრის № 01-05-02/24 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოწონებულ იქნეს სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატენოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის „სოციალური კვლევების ლაბორატორიის" დებულება;
2. ეთხოვოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს) აღნიშნული დებულების დამტკიცება;
3. საკითხს სენატის სხდომაზე წარადგენს პროფესორი ივ. ჯაგოდნიშვილი;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** ა. ფრანგიშვილი

**აკადემიური საბჭოს მდივანი** გ. სალუქვაძე